



მიხაკო წერეთელი (1878-1965)

ნიმუ სამსონია

„დადგება დრო, როდესაც [მიხაკო წერეთლის] გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-იტალიურენოვანი ნაშრომები საქართველოს დაუბრუნდება და კვლავ ემსახურება ქართული მეცნიერების გამთლიანების დიად საქმეს“.

რეზო თაბუკაშვილი

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965) – დიდი მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოში სოციოლოგიისა და ასირიოლოგიის ფუძემდებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორ-დამფუძნებელი, რომელიც ბედის უკუღმართობით, 1921 წელს საქართველოს ანექსიისთანავე, სამშობლოდან სამუდამოდ გადაიხვეწა და სამეცნიერო მოღვაწეობა ევროპაში განაგრძო.

ევროპაში მცხოვრები მიხაკო წერეთელი გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე წერდა და აქვეყნებდა თავის მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებმაც საქართველოს და ქართულ მეცნიერებას გაუთქვეს სახელი. თავისი ცხოვრებითა და სამეცნიერო მოღვაწეობით მიხაკო წერეთელი მუდამ იყო საქართველოს სამსახურში, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიო მეცნიერების ეს საუნჯე მხოლოდ ახლავს უბრუნდება საქართველოს. საბჭოთა აგენტურის მიერ ფაშისტად მონათლული ამ უდიდესი ქართველი მეცნიერის მოღვაწეობა აკრძალული იყო საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ მიხაკო წერეთელი იყო გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნის – გიორგი წერეთლის (1904-1973) ბიძა (მოგვიანებით მიხაკო წერეთელმა სწორედ მას უანდერდა თავისი ასირიოლოგიური ბიბლიოთეკა), მაგრამ თვით გიორგი წერეთელმაც ვერ შეძლო მიხაკო წერეთლის ვერც ერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება...

მიუხედავად ყველაფრისა, დრომ თავისი მოიტანა და 2010 წელს ბრიტანეთში (კემბრიჯი) ჩატარებულ მსოფლიო კონგრესზე, რომელიც „გილგამეშის ეპოსს“ ეძღვნებოდა, ქართული მეცნიერების სახელი კვლავ მიხაკო წერეთელმა წარმოაჩინა. 1924 წ. კონსტანტინოპოლში



მიხაკო წერეთლის (1878-1965) დამსახურება
ქართული და მსოფლიო მეცნიერების წინაშე

გამოცემული მ. წერეთლის ნათარგმნი „გილგამეშიანი“, რომელმაც იმთავითვე დაიმკვიდრა ადგილი „გილგამეშის ეპოსის“ მთარგმნელ-გამშიფრელთა მსოფლიოს პირველ სამეულში, თუმცა საქართველოსთვის დაიკარგა, კვლავ გამოჩნდა მსოფლიო მეცნიერების სარბიელზე. ბრიტანელმა მეცნიერებმა თითქმის საუკუნის შემდეგ დაასახელეს მიხაკო წერეთელი „გილგამეშის ეპოსის“ მთარგმნელ-პიონერად. ამ ფაქტის შემდეგ, ათწლეულების მანძილზე აკრძალული თარგმანი, 2010 წელს ხელახლა გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. „გილგამეშიანი“ აღმოჩნდა პირველი სამეცნიერო ნაშრომი მიხაკო წერეთლისა, რომელიც საქართველოს დაუბრუნდა, როგორც ქართული და მსოფლიო მეცნიერების საგანძური.

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი დაიბადა 1878 წლის 3 დეკემბერს სოფელ ცხრუკვეთში (საჩხერის

1919-1921 წ.წ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე.

1924 წ. – კონსტანტინოპოლში გამოქვეყნდა „გილგამეშის ეპოსის“ მიხაკო წერეთლის თარგმანი.

1921-1943 წ.წ. – ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრის გამგე.

1933 წ. – მიხაკო წერეთელი შიფრავს კელიშინის ასურულ-ურარტული ბილინგვას, ე.წ. „კელიშინის სტელას“, რითაც სათავეს უდებს ურარტოლოგიის კვლევას მსოფლიოში და იმკვიდრებს ურარტოლოგიის პატრიარქის სახელს.

1944-1965 წ.წ. – მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრი გამგე.

1963 წ. – პარიზში ქვეყნდება „ვეფხისტყაოსნის“ მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანი.

2010 წ. – ბრიტანეთის (კემბრიჯის) ძველი ახლო აღმოსავლეთის მსოფლიო კონგრესზე მიხაკო წერეთელი დასახელდა მსოფლიოში „გილგამეშის ეპოსის“ მთარგმნელთა პირველ რიგებში (გერმანული (1901), ფრანგული (1907), ინგლისური (1917), ქართული (1924)).

გილგამეშის ეპოსი – ასურულ-ბაბილონური (დაინერა აქადური ენის ძველბაბილონურ დიალექტზე ძვ. წ. III ათასწ. II ნახ.) ლიტერატურის ძეგლი, დღეისათვის ცნობილია, როგორც მსოფლიო მწერლობის პირველი ეტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ეპოსი და პირველი ლიტერატურული ნაწარმოები. მას საფუძვლად დაედო ძველი შუმერული თქმულებები ურუქის I დინასტიის (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი, 28-ე ს.) მეფის – გილგამეშის – შესახებ. არსებობს ხუთი შუმერული თქმულება გილგამეშზე, რომლებიც წარმოადგენენ ურუქის ლიტერატურული ტრადიციის „გილგამეშის ციკლს“ და რომლებსაც მეცნიერები გილგამეშის შუმერულ სიმღერებს უწოდებენ. ქ. ურუქში ასევე არსებობდა ოთხი შუმერული ეპოსი, რომლებიც გილგამეშის მამა ლუგალბანდასა და პაპა ენმერქარზე (შუმერული ლურსმული დამწერლობის გამოგონებელი) გადმოგვცემდა. ეპოსებში აღწერილია ურუქისა და შორეული არათას ქვეყნის დაპირისპირება. მეცნიერებაში ეს უპირველესი ოთხი ეპოსი ცნობილია „შუმერ მეფეთა ეპოსების“ სახელით და ეწოდება ქ. ურუქის „არათას ციკლი“. სწორედ აქ იჩენს თავს პირველად კაცობრიობის ლიტერატურის ისტორიაში ეპიკური ჟანრის სტრუქტურა. „გილგამეშის შუმერული სიმღერები“ და „არათას ციკლი“ დაედო საფუძვლად ძვ. წ. 24-23 საუკუნეთა მიჯნაზე აქადურ ენაზე დაწერილ „გილგამეშის ეპოსს“, რომელიც თავისი სრულყოფილებით უტოლდება ჰომეროსის პოემებს. აღსანიშნავია, რომ „გილგამეშის ეპოსის“ ბოლო (ასურული) ვერსია ძვ. წ. VII საუკუნეში გადაინერა და დაცული იყო ასურეთის მეფე ამურბანიპალის ბიბლიოთეკაში. ამრიგად, „გილგამეშის ეპოსის“ სახით ჩვენ წინაშეა ეპოსის 15-16 საუკუნოვანი ტრადიცია. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ამ ეპოსს ერთი ავტორი ჰყავდა, თუმცა ძველდამოსავლური ტრადიციით ავტორი სახელს არ წერდა და ამდენად, მისი სახელი არც შემოგვრჩა.

„გილგამეშის ეპოსი“ იმთავითვე ითარგმნა ძველდამოსავლურ ენებზე. არსებობს ეპოსის ხეთურ და ხურიტურ თარგმანთა ვერსიები, შემორჩენილი მხოლოდ რამდენიმე დაფაზე. ასევე არსებობს რამდენიმე ვერსია აქადურ ენაზე. ეპოსის დედააზრია მეგობრობა გილგამეშსა და ველურობიდან ცივილიზებულ ადამიანამდე ამაღლებულ ენქიდუს შორის, რაც მათ უძლეველს ხდის ბოროტის დამარცხების გზაზე. ენქიდუ ბიბლიური ადამის პროტოტიპია, რომელიც, ეპოსის მიხედვით, ღმერთებმა ადამის მსგავსად შექმნეს გილგამეშის დაუოკებელი, დამანგრეველი ძალის დასაბალანსებლად. ეპიკური მეგობრობა მაღალი ზნეობისაკენ უბიძგებს გილგამეშს და ბოლოს ენქიდუ თავისი სიკვდილით სიკვდილ-სიცოცხლის აზრზე დააფიქრებს მას. გილგამეშის შემდგომი ბედი დაკავშირებულია სიცოცხლისა და უკვდავების ძიებასთან, რაც მას მიიყვანს უთნაფიშთიმთან – საყოველთაო წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ კაცთან. ბოლოს დაბრძენებული გილგამეში ბრუნდება ურუქში. ეპოსში ჩართულია წარღვნის შუმერული ეპოსი, რომელიც „ათრახასისის ეპოსითა“ ცნობილი. წარღვნის ეპიზოდი, რომელიც წარმოადგენს „გილგამეშის ეპოსის“ XI დაფას, სიტყვასიტყვით არის გადატანილი ბიბლიაში. უთ-ნაფიშთიმ, რაც აქადურად იშიფრება, როგორც „სიცოცხლის დღეგრძელი“ არის ბიბლიური ნოეს პროტოტიპი.

რაიონი, იმერეთი). განათლება მან ევროპაში მიიღო და პარიზის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1905 წელს, საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. მისი ეროვნული პოზიცია გამოიხატა ილიას მკვლელობის დღეებში. 1907 წლის 2 სექტემბერს „ისარში“ („ბატონის“ ფსევდონიმით) გამოქვეყნდა წერილი „კაცია-ადამიანი?!“. 1907 წლის 7 სექტემბერს კი მ. წერეთელმა თბილისში წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც გრიგოლ რობაქიძის თქმით, „შინაგანად შეძრა მთელი საქართველო“. ეს სიტყვა მან შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ვაგლახ, ბედშავო საქართველო! შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაპატივე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“, გვაპატივე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატივე, რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესია გაგიმართეთ! გვაპატივე - ეს შეეფერება შენს დიდსულოვნებას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდუმარე მთანმინდაზედ განისვენებთ, ჩვენს მხცოვან, ტანჯულ ისტორიულ დედაქალაქ თბილისს რომ ბატონობს იღუმმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ „იქიდან ველარ გადმოხედავ შენს სამშობლო მხარესა და ტკბილი ჭიკჭიკითა ველარ დაატკობ მისს არემარეს“, ველარ იხილავ მომავალში შენს ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ ანმყოში მაინც ბედნიერი იქნები – ველარ იხილავ აგრეთვე იმ სინითლეს სირცხვილისა, რომელიც ან დაცემულმა ივერმა ჭამა შენი ნამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს“.

1910 წლიდან იწყება ახალი ეტაპი მ. წერეთლის ცხოვრებაში. 30 წელს გადაცილებული, იგი პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად მეცნიერულ მუშაობასაც ჰკიდებს ხელს, რაშიც ბიძგი ექვთიმე თაყაიშვილმა მისცა. იგი კვლავ ევროპისაკენ მიეშურება – ამჯერად მეცნიერული ცოდნის მისაღებად ჩადის ლონდონში და იწყებს ასირიოლოგიის შესწავლას. სწავლას იგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ასრულებს.

ამავე პერიოდში მიხაკო წერეთელი პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი წევრია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა, რომელიც 1914 წელს ჩამოყალიბდა ოსმალეთში (თურქეთში). პირველი მსოფლიო ომით შექმნილი ვითარება მ. წერეთელს სურს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამოიყენოს. ამ ორგანიზაციის წევრები აწარმოებენ მოლაპარაკებას როგორც გერმანიის, ისე თურქეთის მთავრობასთან. მ. წერეთელი ამ გზით ორჯერ ჩამოდის საქართველოში წყალქვეშა ნავით. „წყალქვეშა ნავით საიდუმლოდ ჩამოსვლა საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთათვის იარაღის ჩამოტანა არის მისი ბიოგრაფიაში საოცარი ფაქტები, – წერს ვალერიან გამყრელიძე თავის მოგონებებში, – ფოთის ზემოთ სანაპიროს მოადგა გერმანელთა წყალქვეშა ნავი, რომელმაც გერმანიაში მოქმედი „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ თავმჯდომარე მიხაკო წერეთელი და წევრი სურგულაძე (მგონი, პეტრე) ჩამოიყვანა გერმანიიდან.



ახალგაზრდა მიხეილ (მიხაკო) წერეთელი



მიხეილ წერეთელი და მიხეილ კედია, ფოტო აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ფოტოარქივიდან.

„გილგამეშის ეპოსი“ გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში როგორც აქადური ენის დიალექტებზე, ასევე ხეთურ და ხურიტულ ენებზე. ეპოსის სრულყოფილ ვერსიას კი ასურეთის მეფე აშურბანიპალის ნინევიის ბიბლიოთეკაში დაცული ასურული ვერსია წარმოადგენს (ძვ.წ. VII ს). „გილგამეშის ეპოსი“ ძვ.წ. VI საუკუნეში დაიკარგა, როდესაც ასურეთის და ბაბილონის სამეფოები აქემენიდურმა ირანმა გაანადგურა და ქ. ნინევიის ბიბლიოთეკა დაიწვა. ეპოსის გამოძახილმა თითქმის ახალი ნელთალრიცხვის მიჯნამდე მოაღწია და კვლავ აღმოჩნდა უკვე მე-19 საუკუნეში, 1872 წელს. დღემდე შემორჩენილია ეპოსის 12 დაფა, თუმცა XII დაფა დამატებული უნდა იყოს გადამწერის მიერ და წარმოადგენს ერთ-ერთ სიმღერას „გილგამეშის შუმერული სიმღერებიდან“, სადაც გილგამეშს საიქიოდან ამოსული ენქიდუ ქვესკნელის ამბებს აცნობს. „გილგამეშის ეპოსი“ XI დაფა (წარღვნის ეპიზოდი) 1872 წელს აღმოჩნდა ბრიტანეთის მუზეუმის ლურსმნული დამწერლობის ძეგლების კოლექციაში, ხოლო XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე აღმოჩენილი იყო ეპოსის სრული ვარიანტი. ეპოსის პირველი თარგმანი შეასრულა პ. იენსენმა გერმანულ ენაზე 1902 წელს. 1907 წ. ფრანგულად თარგმნა ე. დორმიმ. 1917 წელს – ინგლისურად ს. ლენგლონმა. 1924 წელს ქართულად – მ. წერეთელმა (თარგმანი შესრულებულია 1913-1916 წ.წ., გამოქვეყნდა 1924 წ.). „გილგამეშის ეპოსი“ თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან. რუსულად თარგმნა 1963 წელს ი. დიაკონოვმა. რუსულად მანამდე არსებობდა გუმბელიოვის თარგმანი, შესრულებული იყო დორმის ფრანგული თარგმანიდან. ეპოსი ნათარგმნია ზოგიერთ აღმოსავლურ ენაზეც. აღსანიშნავია, რომ „გილგამეშის ეპოსი“ ხელმეორედ თარგმნა ზურაბ კიკნაძემ 1963 წელს.



მიხაკო წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, გამოცემული პარიზში 1975 წელს, 2013 წლის რეპრინტი

ნაგმა შემოზიდა აგრეთვე 2 600 გერმანული სამხედრო თოფი და 500 პისტოლეტი („მაუზერი“). ჩამოსულთა მიღება და იარაღის შემოტანა და გადაზიდვა საქირო ადგილებში განახორციელა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ რწმუნებულმა დასავლეთ საქართველოში სამსონ იოთამის ძე გამყრელიძემ (ჩვენმა მამამ), რომელიც სენაკის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა. მას ეხმარებოდნენ ახალ-სენაკის მკვიდრი ახალგაზრდები“.

ამავე პერიოდში გერმანიის შთავრობას შეუთავაზებია ქართველებისათვის წასულიყვნენ ლოზანაში „ერთა კავშირის“ მესამე კონგრესზე დასასწრებად. 1916 წელს ამ კონგრესზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მ. წერეთლის წარმომტეხულმა სიტყვამ, რომელშიც დასაბუთებული იყო რუსეთის დანაშაულებანი საქართველოს მიმართ ვახტანგ მეექვსიდან მოყოლებული. ამ სიტყვამ თურმე რუს დამსწრეებსაც ჩააგდებინა ენა.

1918 წელს მიხაკო წერეთელი იყო საქართველოს დიპლომატიური დელეგაციის წევრი ბერლინში. 1919 წელს კი ელჩად იყო სკანდინავიის ქვეყნებში. 1920 წელს მ. წერეთელი ივ. ჯავახიშვილის მოწვევით იკავებს ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრას ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. მას 1920 წლის მაისში პროფესორად ირჩევენ, მაგრამ 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მას აიძულებს დატოვოს სამშობლო.

მ. წერეთელი 1933 წლიდან 1942 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტში მოღვაწეობს ქართული ენისა და მწერლობის კათედრაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს, მეგობრების თხოვნით, მ. წერეთელი კისრულობს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობას, სადაც შედიოდნენ აგრეთვე ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია. კომიტეტი ღირსეულად და უკომპრომისოდ იცავს საქართველოს შვილებს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევს. ამიტომაც მიხეილი შლის კომიტეტს და თავის თანამშრომლებთან ერთად წყვეტს ყოველგვარ კავშირს გერმანიის ხელისუფლებასთან. ომის დამთავრების

შემდეგ მიხაკო წერეთელი მიუნხენში გადადის, სადაც სიცოცხლის ბოლომდე რჩება და მიუნხენის უნივერსიტეტში აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1924 წელს კონსტანტინოპოლში (დღევანდელი სტამბოლი) იბეჭდება მიხეილ წერეთლის ნათარგმნი „გილგამეშიანი“. ეს ძვ. წ. III ათასწლეულის ბაბილონური ეპოსი, რომელიც კაცობრიობის პირველ ეპოსად არის მიჩნეული, მიხაკო წერეთლისთვის ორგანული ნაწილი იყო „ვეფხისტყაოსნისა“ (ამას მეცნიერი და მთარგმნელი თავადვე აღნიშნავდა). თარგმანი „გილგამეშიანისა“, რომელიც მიხაკო წერეთელმა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ლურსმული ფირფიტებიდან შეასრულა, სხვა ევროპელ მთარგმნელთაგან განსხვავებით, გაჯერებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ – დიდი ეპოსის (ანუ „გილგამეშის“) ასევე დიდი მემკვიდრეობის (ანუ „ვეფხისტყაოსნის“) ცოდნით. „ვეფხისტყაოსნის“ კი მიხაკო წერეთელი სიყრმიდანვე სწავლობდა.

მიხაკო წერეთელმა მთელი ცხოვრება შეაღწია „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას – დაწმინდა, შეავსო და დაადგინა პოემის ტექსტი და თავისივე დამუშავებული ქართული ტექსტი გერმანულ ენაზე გადათარგმნა. ეს თარგმანი პირველად 1963 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ნინო სალიას რედაქციით. მიხაკო წერეთლის ოცნება, რომ გამოცემულიყო მისი ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ნაწილობრივ ახდა: „იმედი მაქვს სიცოცხლეში ვიხილო „ჩემი“ „ვეფხისტყაოსანი“, დაბეჭდილი მისი გერმანული თარგმანით. ეს იქნება ძღვენი დიდი ქართველი გენიოსისადმი საიუბილეოდ, მიძღვნილი იმ ქართველისაგან, რომლის სახლში „ვეფხ-



ასირიოლოგია – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის იმ ძველმოხსენებულ ენებსა და ცივილიზაციებს, რომლებიც ლურსმულ (სილაბურ) დამწერლობას იყენებდნენ. ასირიოლოგია ფართო გაგებით შეისწავლის შუმერის, ბაბილონის, ასურეთის, ხური-მითანის, ხეთების, ურარტუს, ძველი ირანის ენებსა და ცივილიზაციებს. ვინრო გაგებით შეისწავლის მხოლოდ შუამდინარულ ცივილიზაციებს – შუმერს, ბაბილონსა და ასურეთს.

დარგი დაიბადა 1856 წელს ევროპაში, როდესაც მიიჩნიეს, რომ გაშიფრული იყო ლურსმული დამწერლობა. დღემდე არსებობს მხოლოდ მსოფლიოს ელიტარულ უნივერსიტეტებში. პოსტსაბჭოთა სივრცეში – მხოლოდ პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტებში. ასირიოლოგია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი პირველი დარგი იყო – ივანე ჯავახიშვილმა მიხაკო წერეთელთან ერთად, 1919 წ. ახლადშექმნილ უნივერსიტეტში დააარსა „ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ კათედრა.

ის-ტყაოსანი“ ქალმა და კაცმა ზეპირად იცოდა და რომელმაც ჯერ წერა-კითხვაც არ იცოდა კარგად, მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის“ თავებს კი ზეპირად ეტყოდა სტუმრებს მათ შესაქცევად, ძღვენი „ვეფხის-ტყაოსნის“ არა სპეციალისტისა, ხოლო სიყრმითგან მოხუცებამდე ნაზარდი სიყვარული-სა ამ უკვდავი ქმნილებისათვის“, – წერს იგი თავის ნაშრომში „მცირე რამ ვეფხისტყაოსნის შესახებ“.

1975 წელს პარიზში ხელმეორედ გამოიცა მიხაკო წერეთლის „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი – ამჯერად სრულყოფილი კომენტარებით, რომლის რეპრინტი 2013 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. 2014 წლის ბოლოსთვის იგეგმება „ვეფხისტყაოს-

ნის“ მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანის ფუნდამენტური გამოცემა, რომელსაც დართული ექნება მის მიერვე დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ვერსია.

მიხაკო წერეთელს ეკუთვნის „სიბრძნე-სიცრუისას“ თარგმანი გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რომელიც ჯერჯერობით საქართველოსთვის უცნობია.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, მიხაკო წერეთელმა მსოფლიო მეცნიერებაში სახელი თავისი ურარტოლოგიური კვლევებით დაიმკვიდრა.

1928 წელს ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა მიხაკო წერეთლის პირველი ურარტოლოგიური ნაშრომი სახელწოდებით: „ურარტუს მეფის სარდურის ახალი ხალდური წარწერის შესახებ. ხალდური ენის გაშიფვრის ცდა“. ნაშრომის შესავალში მკვ-



ლევარი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ „ამ ხალდური ტექსტის თარგმანი არის მხოლოდ ცდა“ ურარტული ენის (მაშინ ამ ენას ხალდურად მოიხსენიებდნენ) სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების ზუსტი მნიშვნელობების ამოცნობისაო. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მან პირველსავე ცდაზე ბრწყინვალედ შეძლო.

მიხაკო წერეთლის კვლევა-ძიებაში უმნიშვნელოვანესი იყო ის გარემოება, რომ პირველად მხოლოდ მაშინ დადგინდა, რომ სინტაქსური თვალსაზრისით ურარტული ენა, ქართველური ენების მსგავსად, ერგატიული კონსტრუქციის ენათა რიგს

განეკუთვნებოდა*. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ ამ ტიპისაა ზოგიერთი სხვა ძველალმოსავლური ენაც – შუმერული, ელამური და ურარტულის მონათესავე ხურიტულიც.

1933 წელს პარიზში მსოფლიოში ცნობილ ჟურნალში „Revue d'Assyriologie“ (გამოდის პარიზში 1884 წლიდან და ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელიც ოდესმე ამ ჟურნალში დაბეჭდილა, გახლავთ მიხაკო წერეთელი) გამოქვეყნდა მიხაკო წერეთლის მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი „კელიშინის სტელა“. ეს გახლავთ ძვ.წ. IX საუკუნის ასურულ-ურარტული ლურსმული ტექსტი, რომელიც მიხაკო წერეთელმა გაშიფრა. ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე ამ სტელის გაშიფვრაზე არაერთი ევროპელი მეცნიერი მუშაობდა. მიხაკო წერეთლისეული მიდგომა ურარტული ტექსტისადმი გასაღები აღმოჩნდა ურარტოლოგიის მკვლევართათვის. „კელიშინის ბილინგვის“ ტექსტის წაკითხვის პრინციპით მან დაადგინა ურარტული ენის გრამატიკის მანამდე ბუნდოვანი საკითხები. ამავე პრინციპით 1933-1959 წწ.-ში მიხაკო წერეთელმა სრულყოფილად გაშიფრა და ლურსმული ტექსტებით, ტრანსლიტერაციითა და თარგმანით გამოაქვეყნა ურარტულ ტექსტთა კორპუსი. მსოფლიო მეცნიერება მიხაკო წერეთელს ურარტოლოგიის პატრიარქად მიიჩნევს. ხმამაღალი განცხადება არ იქნება, თუ მის წვლილს ურარტოლოგიაში ფრანსუა შამპოლიონისას შევადარებთ ეგვიპტოლოგიაში, რომელმაც ყველასთვის კარგად ცნობილი როზეტის ქვის გაშიფვრით საფუძველი ჩაუყარა ეგვიპტოლოგიის კვლევას მსოფლიოში.

მიხაკო წერეთლის მიღწევები ურარტოლოგიაში განსაკუთრებით მტკიცეული აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის. რამდენადაც ურარტული და ასურული ლურსმული ტექსტები საქართველოს ისტორიის უძველეს წერილობით წყაროებს წარმოადგენენ, იმ წერილობით წყაროებს, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორია. შესაბამისად, ამ უძველეს, ძველალმოსავლურ წერილობით წყაროებში განისაზღვრება როგორც ქართველური ტომობრივი გაერთიანებების, ასევე კავკასიის სხვა ეთნოსთა ტერიტორიული და ეთნიკური საკითხები. შესაბამისად, მიხაკო წერეთლის, როგორც მსოფლიო მასშტაბის ურარტოლოგის, დევნამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა ყველანაირი მეთოდით. მიზანი კი ერთი იყო – მიხაკო წერეთელს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომებს ქართულ მეცნიერებაში არ უნდა შემოეღწია. შესაბამისად, მთელი აქცენტი მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე იყო გადატანილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში ამ მხრივაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მიხაკო წერეთელს. ამ უდიდესმა მეცნიერმა მთელი ცხოვრება საქართველოსთვის ბრძოლას შეაღწია. მიხაკო წერეთელმა სამშობლოს



* ერგატიული კონსტრუქციის ენა ეწოდება ისეთ ენებს, სადაც ქვემდებარეს აქვს მოთხრობითი ბრუნვა, ანუ ლათინურად ე.წ. ერგატივე.

* ობერლეიტენანტი ოთარ წერეთელი დასავლეთის ფრონტზე ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტანკში დაიწვა.



მიხაკო წერეთელი
მეუღლესთან მარიამ ვახ-
ვახიშვილთან ერთად

სიყვარულს შესწირა მთელი ცხოვრება, ასევე ერთადერთი შვილი, რომელიც თან გაჰყვა ემიგრაციაში და 1945 წელს II მსოფლიო ომში დაეღუპა.* მიხაკო წერეთელმა დარჩენილი ცხოვრება სამშობლოდან შორს, სრულ მარტოობაში გაატარა.

ემიგრაციაში მყოფი მ. წერეთლის მძიმე სულიერი მდგომარეობის გამოხატულებაა მისი წერილები, სადაც უსაზღვრო სევდა იკითხება.

ერთ-ერთ წერილში იგი თავის ძმისწულს, ბაბო წერეთელს სწერს: „მომწერე, თუ მოსახერხებელია შენთვის: ცხრუკვეთში ჩვენი ქოხი ისევ სდვას თუ არა და ვის ეკუთვნის? იქ რომ კაკლის ხეები იყო, ორი დიდი, ისევ დგანან თუ გახმენ და მოჭრეს? მიხაკო, 24.II. 1960.“

ასევე შემორჩენილია მ. წერეთლის ბარათები მეუღლისადმი – მარიამ ვახვახიშვილისადმი. იგი დიდის მწუხარებით ამცნობს მას მათი ერთადერთი შვილის, ოთარის, ომში დაღუპვის ამბავს: „1944 წელს ოთარი გაიწვიეს ჯარში, ცოტა ხნის შემდეგ უნდა ჩამოსულიყო და ჯვარი დაენერა. მაგრამ მისი ნაწილები მოხვდნენ ბრძოლებში და პირველ მარტს, 1945 წელს, ეს ნაწილები სრულიად დაიღუპა. ჯვარდაუწერელმა მისმა ცოლმა შვა ქალი, რომელსაც შენი სახელი დავარქვით, მაგრამ ის დედის გვარზე ჩაწერეს და მეც წამერთვა ყოველი უფლება ჩემს შვილისშვილზედ, ასე, მარო წერეთელი ჯერ იყო ვინდი (დედის გვარით) და მერე გახდა რეგენფუს-ად (მამინაცვლის გვარით). ქართული მან არ იცის, მე კვირაში ერთხელ ვხედავ, ისე კი იცის, ვინ არის და სადაური... შენი მიხაკო. 1959 წელი, 25 მაისი, მიუნხენი“.

ამ ტრაგიკული ფაქტის შესახებ მიხაკო წერეთელი წერს ბაბო წერეთელსაც: „მიხედე ხოლმე ხანდახან ჩემს საცოდავ დედაბერს – ბიცოლაშენს მაროს. აღარავინ დარჩენია სხვა იმ უბედურს ამ ქვეყანაზედ. მგონი, კაცის მკვლელობა ჩავიდინე, რომ შევატყობინე მისი უბედურება. რა უნდა მექნა? მეგონა მასაც უნდა დაეტირებინა მისი შვილი, როდემდე უნდა მეთქვა ტყუილი? შენი უბედური ბიძია მიხაკო“.

ამ დროს მ. წერეთელი შეფარებული იყო ჰაზელბეკების ოჯახში, რომელთაც იგი დიდი მადლიერებითა და სიყვარულით იხსენიებს თავის წერილებში. მას ეძღვევა პატარა პენსია, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს, ჰყოფნის.

1965 წლის 2 მარტს მიხაკო წერეთელი გარდაიცვალა მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში.

კალისტრატე სალიას წერილი, მიწერილი მიხაკო წერეთლის მეუღლის, მარიამ ვახვახიშვილსათვის: „კრემატორიუმში დიდძალი საზოგადოება მოვიდა. გამოთხოვება ლამაზად მოხდა. ხელმძღვანელობდა ჩემი მეგობარი ნიკო ნაკაშიძე. ანდერძის მიხედვით სიტყვები არ იყო, მხოლოდ ნიკომ მოკლე ბიოგრაფია გააცნო დამსწრეთ განსვენებულისა. სამძიმარი მივიღეთ ოთხმა: მიხაკოს შვილიშვილმა, ნიკომ [ნაკაშიძე], ალექსანდრე ნიკურაძემ და მე. ფერფლი დროებით მიუნხენში დარჩება. ორი წლის წინათ მიხაკომ ითხოვა მისი ფერფლის საქართველოში გადავზავნა. თუ მანდედან ნებართვა მივიღეთ, ჩვენ შევასრულებთ მიხაკოს თხოვნას“.

ნიკო ნაკაშიძის წერილი ბაბო წერეთელს, დათარიღებული 1965 წლის 3 მარტით: „ლამით,

* ობერლეიტენანტი ოთარ წერეთელი დასავლეთის ფრონტზე ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტანკში დაიწვა.

პირველ მარტს, გარდაიცვალა თქვენი ბიძა მიხაკო წერეთელი. დასაფლავება – შაბათს, 6 მარტს, დილის 11 საათზე მიუნხენში. თანახმად განსვენებულის ანდერძისა, მას დასწვავენ. სანემტე ურნა (სპილენძის) შემდეგ გადატანილ იქნება პარიზში ქართველთა სასაფლაოზე და იქ მიბარებული. განსვენებულის სურვილი იყო მისი ნემტი მიბარებოდა მშობლიურ მიწას მის საყვარელ ცხრუკვეთში. ურნის გადატანა საქართველოში არ იქნება ძნელი საქმე. პარიზში ხშირად ჩამოდიან მამულები მეცნიერები თუ ტურისტები. ნიკო ნაკაშიძე, თავმჯდომარე ქართული სათვისტომოსი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში“. მიხაკო წერეთლის ანდერძის თანახმად, მისი არქივი ნინო და კალისტრატე სალიებს გადაეცა, ხოლო სამეცნიერო ნაშრომები დაკარგული აღმოჩნდა საქართველოსთვის.



თიხის დაფა „გილგამეშის“ ტექსტით

ამრიგად, მიხაკო წერეთელი იყო ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა ქართულ საქმეს. ის წერდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და ქართულ ენებზე და თავის ნაშრომებს ევროპაში აქვეყნებდა. ის აცნობდა მთელ მსოფლიოს ქართველი ერის ისტორიას, მის ენას, მის მნიშვნელობას. კომუნისტური წარსულის დამსახურებით მიხაკო წერეთლის სახელი და მოღვაწეობა წლების მანძილზე იყო დაფარული საქართველოსთვის და მხოლოდ ამ ბოლო დროს გახდა შესაძლებელი, რომ ეს საუნჯე ნელ-ნელა დაუბრუნდეს საქართველოს და ემსახუროს ქართული მეცნიერების დიდ საქმეს.

